ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2023 წლის 30 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოსატყვა , რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიდომი, მიკრო/რაიონი II, კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, NO1.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3605 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და ამენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა , მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოსატყვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრა არაუმეტეს 2.8-ით, ხოლო ინტერესთა გამოსატყვამი მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 1050 კვ. მ.

აღნიშნული ინტერესთა გამოსატყვის ფარგლებში შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404438649) მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება, ინტერესთა გამოსატყვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირობების გადასაცემი სამშენებლო ფართი - **1950 კვ.მ ოდენობით** (თეთრი კარკასის მდგომარეობით) - უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წინადადებასთან მიმართებით, ამიტომ გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“ (ს/ნ: 404438649).

მოცემულ შემთხვევაში,სიის ფორმირებისას სააგენტომ იხელმძღვანელა რამდენიმე კრიტერიუმით, მათ შორის, სარეიტინგო ქულისა და ტერიტორიულობის პრინციპებით. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, სააგენტოში ამოიწურა იმ კოოპერატივის წევრთა სია, ვისაც მიმართული აქვს, თანახმაა შეთავაზებული პროექტებიდან დაკმაყოფილებაზე და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, წარდგენილი აქვს სარეიტინგო ქულის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი. შესაბამისად, მოცემულ პროექტში, პირთა ნაწილი შერჩეულ იქნა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, ხოლო იმ პირთა შორის, ვისაც არ აქვს წარდგენილი სარეიტინგო ქულა, მაგრამ წარდგენილი ჰქონდა სხვა ყველა საჭირო დოკუმენტი, უპირატესობა მიენიჭა ტერიტორიულობის პრინციპით ყველაზე ახლოს მყოფს კოოპერატივის წევრებს. ამასთან, მას შემდეგ რაც ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით ამოიწურა სრულყოფილი დოკუმენტაციის მქონე კოოპერატივის წევრთა რაოდენობა, გადასაცემი ფართის სრულად ათვისების მიზნით სააგენტოს მიერ პროექტში გათვალისწინებულ იქნენ კოოპერატივის ის წევრები, რომლებსაც სიის ფორმირების ეტაპზე წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაცია სრულად. ჯამურად, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კოოპერატივის 25 (ოცდახუთი) წევრის დაკმაყოფილებას.

განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების ფართობი, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოსატყვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას

სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს კომპანიის მიერ შემოთავაზებულ ფართობს. დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების პროცესში, აღნიშნული, გარკვეულწილად, განაპირობებს მათი რიგითობის განსაზღვრას. გადასაცემი ფართის ჯამური ფართობის კონკრეტული რიცხვით შეზღუდვის გამო, საჭირო გახდა რამდენიმე კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართის შემცირება არაუმეტეს 3 კვ.მ-ით, რათა კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ინდივიდუალური ფართების ჯამურად არ ყოფილიყო 1950 კვ.მ-ზე მეტი. ვინაიდან, წარმოდგენილი განკარგულების დანართი N1-ის მე-11-ე პუნქტით გათვალისწინებული N629 ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს: ლილი ქიტიაშვილს (პ/ნ: 01019000172) კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე, საკუთრებაში აქვს მიღებული უძრავი ქონება, მის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა თანხმობა, რომლითაც, აღნიშნული პირი, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიდოში, მიკრო/რაიონი II, კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, N01.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3605 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული წილის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოგვიანებით, კომპანიის მიერ, ამავე მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში შესაბამისი ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მისთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს ამბობს ქ. თბილისში, შალვა ჯაფარიძის შესახვევი N3-ის მიმდებარედ (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან (შენობა-ნაგებობიდან) მის კუთვნილ წილზე და აღნიშნულ ქონებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აცხადებს, "ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიდოში დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, N01.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3605 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის და შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ: 404438649), სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 მარტის N34.392.447 განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მომხრე-7 თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. N80-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.019.031) პირდაპირი განკარგვის წესით ნინო იაშვილისთვის (პ/ნ: 01009012377) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მომართა ნინო იაშვილმა (პ/ნ: 01009012377) და ითხოვა ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. N80-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.019.031) განმეორებით იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით ჰქონდა მიღებული 5 წლით, სააგენტოს 24.09.2018წ. ბ61.011826718 ბრძანებით. ნინო იაშვილი საკუთრების უფლებით ფლობს ფალიაშვილის ქ. N80-ში მდებარე ფართს (საკადასტრო კოდი: N01.14.11.019.006.01.001ბ). სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემის წინააღმდეგი. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილის თანახმად, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული პირისთვის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1440 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 3 ოქტომბრის და 2024 წლის 14 თებერვლის წერილებით, მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა და ითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე დასაწყობებული დაახლოებით 34770 (ოცდაათოთხმეტი ათას შვიდას სამოცდაათი) კგ. მოძრავი ქონების ნაწილის (5 ტონა) - ჯართის (მეორადი მავთულბადე) ქ. თბილისში, თიანეთის ქუჩა და ტიბაანის ქუჩების მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.12.06.004.007) და ქ. თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.099) არსებული ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრისთვის გადაცემა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია და ნაძალადევის რაიონის გამგეობა არ არის წინააღმდეგი მათ მიერ დასაწყობებული (საკადასტრო კოდი: N01.12.07.015.016) მოძრავი ქონების (5 ტონა) - ჯართის (მეორადი მავთულბადე) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების თაობაზე.

სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შპს „აუდიტ სერვისის“ (ს/ნ: 416302799) დასკვნა, რომლის თანახმადაც 1 კგ შავი ლითონის ჯართის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 20 აპრილის მდგომარეობით განისაზღვრავა 0.70 (სამოცდაათი თეთრი) ლარით.

წარმოდგენილი პროექტით, საჯარო სამართლის იურიდიული პირს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, გადაეცემა მოთხოვნილი მეორადი მავთულბადე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N7-ის მიმდებარედ 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.012.029) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის“ (ს/ნ: 205178635) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N7-ის მიმდებარედ 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.012.029) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N7-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: N01.10.14.012.004.01.001) აღნიშნული უძრავი ქონების თანამესაკუთრეს და კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ვახტანგ კანდელაკი (პ/ნ: N01026004919). შესაბამისად შესაძლებელია საიჯარო უძრავი ქონების შპს „კანაპესთვის“ იჯარით განკარგვა 5 (ხუთი) წლის ვადით.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს . სააგენტო თანხმობას აცხადებს მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის თაობაზე და ამასთან, აღნიშნავენ, რომ ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი, რომლის თანახმად სამსახური არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება, შპს „კანაპესთვის“ (ს/ნ: 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით,

უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N7-ის მიმდებარედ 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.012.029) 5 (ხუთი) წლის ვადით. იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 5 520 (ხუთი ათას ხუთას ოცი) ლარით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, აბანოს ქ. N17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.054) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესტვის“ (ს/ნ: 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მომართა შპს „კანაპეს“ (ს/ნ: 205178635) დირექტორმა და ითხოვა ქ. თბილისში, აბანოს ქ. N17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.054) კომპანიისთვის განმეორებით იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნული 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთი კომპანიას იჯარით ჰქონდა მიღებული 5 წლით, სააგენტოს 24.09.2018წ. ბ61.011826719 ბრძანებით. შპს „კანაპეს“ დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი თანასაკუთრების უფლებით ფლობს აბანოს ქ. N15/6-ში მდებარე ფართს (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.020.01.502).

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის წერილით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 9300 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, აბაშიძის ქ. N2-20-ის მიმდებარედ არსებული 1486 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.031.091) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესტვის“ (ს/ნ: 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მომართა შპს „კანაპეს“ (ს/ნ: 205178635) დირექტორმა და ითხოვა ქ. თბილისში, აბაშიძის ქ. N2-20-ის მიმდებარედ არსებული 1486 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.031.091) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის განმეორებით იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნული 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთი კომპანიას იჯარით ჰქონდა მიღებული 5 წლით, სააგენტოს 14.01.19წ. ბ61.01190145 ბრძანებით. შპს „კანაპეს“ დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი საკუთრების უფლებით ფლობს ი. აბაშიძის ქ. N14-ში მდებარე ფართებს (საკადასტრო კოდი: N01.14.11.031.008.01.525).

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 2 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 7200 ლარის ოდენობით, რაც ევნობა კომპანიას სააგენტოს წერილით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 7200 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული N5 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კუბი კონტექსტი“-სთვის (ს/ნ: 402176328) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.156) არსებული N5 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კუბი კონტექსტი“-სთვის (ს/ნ: 402176328) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 თებერვლის N22.129.149 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N36 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 24 თებერვლის Nბ61.01220559 ბრძანების შესაბამისად, აღნიშნულ ორგანიზაციას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქ.თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული შენობა-ნაგებობა N5 - ფართით 167.69 კვ.მ (მ/შ. სარდაფი 28.72 კვ.მ, I სართული - 38.53 კვ.მ, II სართული - 100.44 კვ.მ.) თანამედროვე ხელოვნების ადაპტირებული გალერეისა და მედიათეკის ფუნქციონირების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კუბი კონტექსტი“-ს (ს/ნ: 402176328) აღმასრულებელმა დირექტორმა და წარმოდგინა შპს „ბიზნეს აუტოსორის“ (ს/ნ: 401993009) აუდიტორული ანგარიში უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით და ითხოვა ქ.თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული შენობა-ნაგებობა N5 - ფართით 167.69 კვ.მ (მ/შ. სარდაფი 28.72 კვ.მ, I სართული - 38.53 კვ.მ, II სართული - 100.44 კვ.მ.) თანამედროვე ხელოვნების ადაპტირებული გალერეისა და მედიათეკის ფუნქციონირების მიზნით განმეორებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი ქ.თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული შენობა-ნაგებობა N5 - ფართით 167.69 კვ.მ (მ/შ. სარდაფი 28.72 კვ.მ, I სართული - 38.53 კვ.მ, II სართული - 100.44 კვ.მ.) აღნიშნული ორგანიზაციისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, 2 (ორი) წლის ვადით და ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე საკითხით უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში ორგანიზაციის მიერ ფართის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე უარის საკითხი, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N53-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.12.042.046) პირდაპირი განკარგვის წესით დავით მაჭარაშვილისთვის (პ/ნ: 01024022960) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N53-ში არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.12.042.025) განმეორებით იჯარის გადაეცემა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უკრედის შემდგომი გამოყენების მიზნით დავით მაჭარაშვილის (პ/ნ: 01024022960). აღნიშნულ პირს, მიწის ნაკვეთი მიღებული ჰქონდა აღნაგობის უფლებით მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ: 01.10.12.042.022) კიბის მოწყობის მიზნით. არსებულ სარგებლობას გაუვიდა ვადა. საკითხთან

დაკავშირებით 2023 წლის 29 დეკემბრის N19/01233632322-61 განცხადებით დამატებით მიმართა სააგენტოს და ითხოვა 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაცვლად 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემა, ვინაიდან განთავსებული კიბის უჯრედი არ აღემატება 2 კვ.მ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით N01.10.12.042.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ; 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა და დარეგისტრირდა N01.10.12.042.046 საკადასტრო კოდით. 2024 წლის 4 აპრილის N19/01240951750-61 წერილით განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა წლიური საიჯარო ქირის 288 (ორას ოთხმოცდაცხრა) ლარის გადახდაზე.

მოთხოვნილი 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სასახურს. აღნიშნული სამსახური არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 20 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეკლე ბერაიასთვის (პ/ნ: 42001023171) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მომართა თეკლე ბერაიამ (პ/ნ: 42001023171) და ითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, ერთი წლის ვადით. აღნიშნული პირი ქირავნობის უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N23-ში არსებულ ფართს (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.003.01.514), 2023 წლის 8 დეკემბერს დადებული ქირავნობის ხელშეკრულებით, ერთი წლის ვადით.

დაინტერესებაში არსებულ 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი, რომლის თანახმად, ეს სამსახური ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა. სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ასევე ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 18.01.24წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 20 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 3600 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 2024 წლის 8 დეკემბრამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 3600 ლარის ოდენობით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა N5-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.011.013) პირდაპირი განკარგვის წესით ია რეზვიამვილი-პინკისთვის (პ/ნ: C34PMXW2Y; 22.04.1954წ) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მომართა ია რეზვიამვილი-პინკის (პ/ნ: C34PMXW2Y; 22.04.1954წ) წარმომადგენლმა ბესიკ მელაძემ (ს/ნ: 01015002706) და ითხოვა ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N5-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.011.013) განმეორებით იჯარის გადაცემა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით. აღნიშნულ პირს, მიწის ნაკვეთი მიღებული ჰქონდა იჯარით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ:01.10.13.011.005.01.521) კიბის მოწყობის მიზნით იჯარას გაუვიდა ვადა.

მოთხოვნილი 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და აღნიშნული სამსახური არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, საორიენტაციოდ განისაზღვრა 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მაია სულხანიშვილის (პ/ნ 01030011877) უფლებამონაცვლე ნუკრი ცისკაძესა (პ/ნ: 01030053040) და ციციწო დევრისაშვილს (პ/ნ 01023003411) შორის გასაფორმებელი მორიგების აქტის მოწონების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე N3/8-09) დაკმაყოფილდა მაია სულხანიშვილის და ციციწო დევრისაშვილს სარჩელი და თბილისის მთავრობას დაევალა „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის N93 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისში, ლისის ტბისა და ვაშლიჯვრის მიმდებარე ფერდობზე 600-600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დავით ლონგურაშვილის უფლებამონაცვლე ციციწო დევრისაშვილთან და მაია სულხანიშვილთან ხელშეკრულების გაფორმება. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აღნიშნულ საქმეზე 2020 წლის 28 მაისს გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი (საქმე N3/8-09). თუმცა, დღეის მდგომარეობით, მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის გამო, სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ 17.09.2020წ. N61-01202612232, 23.07.2021წ. N61-01212042280, 10.12.2021წ. N61-01213442985 და 18.02.2022წ. N61-01220493394 წერილებით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მაია სულხანიშვილს და ციციწო დევრისაშვილს შესთავაზა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა, თუმცა მხარეთა შორის შეთანხმება არ შედგა. 2021 წლის 22 თებერვალს ციციწო დევრისაშვილმა და მაია სულხანიშვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ირაკლი თავართქილაძის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ ციციწო დევრისაშვილის სასარგებლოდ 152 400 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის გადახდა; მაია სულხანიშვილის სასარგებლოდ 152 400 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის გადახდა; ასევე, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელებზე 2010 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველწლიური თანხის 8%-ი მიუღებელი ზიანის სახით (საქმე N3/1031-22). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ 31.10.2023წ. N61-01233042232 წერილით მიმართა მოსარჩელებს და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შესთავაზა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.18.009.935 და N01.10.18.009.934 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა, რაზეც 22.02.2024წ. N22/01240532700-61 განცხადებით მხარეებმა თანხმობა განაცხადეს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში ნიკოლოზ ლონგურაშვილის მიერ 26.02.2024წ. N19/01240572380-61 წარმოდგენილი იქნა მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც მაია სულხანიშვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ყველა სახის მოთხოვნის და მათ

შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას თმობს ნუკრი ცისკაძის სასარგებლოდ. თავის მხრივ, ნუკრი ცისკაძე (პ/ნ: 01030053040), კისრულობს მაია სულხანიშვილისგან გადაცემულ უფლებებს და მასთან დაკავშირებულ მოვალეობებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის, 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის N24.632.745 განკარგულების საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან სასამართლოს მიერ დამტკიცდეს მორიგების აქტს და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

მომხრე-7 თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების თაობაზე“

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2021 წლის 23 ივლისიდან 2021 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, (ს/კ: 01.14.01.001.423) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 17173 კვ.მ.) პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 2.1-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა-5), ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 3 650 კვ.მ-თ.

აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში შპს „არეა დეველოპმენტის“ - ს/ნ: 405476872 წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება/ შეთავაზება (7600 კვ. მ. ფართი - თეთრი კარკასის მდგომარეობით) უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტების მიერ წარმოდგენილ წინადადებაებთან მიმართებით. შესაბამისად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „არეა დეველოპმენტი“ (დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა ლისი“ - ს/ნ: 405476872).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 ივნისის N22.968.1072 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N324 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არეა დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 405476872) ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17 173 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებლის განმარტებით, თავდაპირველად, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება, ძირითადად, განხორციელდა ტერიტორიულობის პრინციპისა და სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. ყრძოდ, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (72 პირი), რომელთაც, კოოპერატიული ბინა უნდა აშენებოდათ ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე (საბურთალოს რაიონში) და რომელთაც, სიის ფორმირების უტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია. ამასთან, მათ შორის რიგითობის განსაზღვრა განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა პირმა, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მითითებულ

კრიტერიუმებს, სიის ფორმირების პროცესში, სააგენტოს შესაბამის თანამშრომლებთან სატელეფონო კომუნიკაციისას, უარი განაცხადეს წარმოდგენილი განკარგულებით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამშენებლო პროექტში დაკმაყოფილებაზე. ამასთან, პროექტის ფარგლებში აგრეთვე, გათვალისწინებულ იქნა ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის 3 (სამი) წევრის დაკმაყოფილება სარეიტინგო ქულების გარეშე, რაც განპირობებული გახლდათ შემდეგი გარემოებებით: ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 13 აგვისტოს N20.47.512 გადაწყვეტილების მიხედვით, N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს მიწის ნაკვეთი გამოყოფილი ჰქონდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ (დღევანდელი მდგომარეობით, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.14.16.008.017). აღნიშნული კოოპერატივის უფლებამონაცვლე ამხანაგობის - „ნუცუბიძის პლატო 620“-ის თავმჯდომარემ სააგენტოში წარმოადგინა განცხადება, რომლითაც განმარტა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 72 (სამოცდათორმეტი) წევრიდან სხვადასხვა დროს უძრავი ქონებით დაკმაყოფილდა 3 (სამი) პირი, ხოლო ამხანაგობის სხვა წევრების მიერ ფაქტობრივად დაკავებულია ის ფართები (ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში არსებული ცალკეული ინდივიდუალური ფართები; მიწის ნაკვეთის ს/კ: N01.14.16.008.017), რომელიც, მათ, როგორც კოოპერატივის წევრებს, უნდა გადასცემოდათ. მითითებულ მისამართზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ვერ დასრულდა, რის გამოც, უძრავი ქონების გარეშე დარჩენილია N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მხოლოდ 4 პირი. **რომან კვამალი - 3/ნ: 01008042452, გელა ტუკვაძე - 3/ნ: 0100901604, მარინე ჭელიძე - 3/ნ: 01017024287 და ლალი ყიფიანი - 3/ნ: 01008025114.**

ირაკლი თავარტიყლაძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი IV-ში მდებარე N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017), გათვალისწინებული იყო სამი 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აღნიშნული სამი საცხოვრებელი სახლიდან, ორის მშენებლობა დასრულებულია, ხოლო მესამეს მშენებლობა შეჩერებულია მე-6 სართულის დონეზე. დარჩენილი აშენებული 3 (სამი) სართულის მშენებლობის დასრულება შეუძლებელია და მისი მშენებლობა დასრულებულად მიიჩნევა მეექვსე სართულის დონეზე. შესაბამისად, ამხანაგობის თავმჯდომარის ზემოაღნიშნული წერილისა და საქმეში არსებული დოკუმენტაციის ერთობლივი ანალიზის შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ამ განკარგულებით წარმოდგენილ პროექტში, სარეიტინგო ქულების გარეშე გათვალისწინებული ყოფილიყვენ: **ზემოთ ხსენებული 4 პიროვნება.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 ივნისის N22.968.1072 განკარგულება მოქ. მანანა მამამთავრიშვილისა (პ/ნ: 01017001543) და მოქ. დავით ღვალაძის (პ/ნ: 01024068731) ნაწილში მიჩნეულ იქნა ძალადაკარგულად და აღნიშნული პირებისთვის განსაზღვრული ფართების მიმღებ პირად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

აღსანიშნავი გარემოებაა, რომ დღეის მდგომარეობით, ხელშეკრულების ფარგლებში, **შპს „დეკა ლისმა“ (ს/ნ: 405476872)** მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უზრუნველყო ჯამურად **194.9** კვ.მ ფართობის მშენებარე ინდივიდუალურ ფართებზე;

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სააგენტოს 2023 წლის 10 ივლისის N19/01231911902-61 და 2023 წლის 5 სექტემბრის N19/01232482083-61 განცხადებებით მომართეს მანანა მამამთავრიშვილმა (პ/ნ: 01017001543) და დავით ღვალაძემ (პ/ნ: 01024068731), რომელთაც აღნიშნეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 ივნისის N22.968.1072 განკარგულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხელშეკრულებას ხელი ვერ მოაწერეს ობიექტური გარემოებების გამო და ითხოვეს/გამოხატეს ნება, მათი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა განხორციელებულიყო ამავე პროექტის ფარგლებში და შესაბამის ეტაპზე, მშენებარე შესაბამისი ფართები გადასცემოდათ საკუთრებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხსენებულ პირებს სააგენტოს 2023 წლის 12 ივლისის N61-01231933332 და 2023 წლის 30 ოქტომბრის N61-01233033104 წერილებით ეცნობათ, რომ დასახელებული პროექტის ფარგლებში, სამშენებლო პროექტის განმახორციელებელი კომპანიის მიერ ინდივიდუალური შესაბამისი საცხოვრებელი ფართის რეგისტრაციის შემდეგ, სააგენტო გამოთქვამდა მზადყოფნას, რომ ემსჯელა შესაბამისი ინდივიდუალური ფართების, მათთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე და აღნიშნული საკითხი განსახილველად წარედგინა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებისთვის: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის.

მომხსენებლის განმარტებით მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი პროექტით საკუთრების უფლება ცალკეულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ **194.9 კვ. მ.** ფართზე ჯამურად გადაეცემა 2 (ორი) პირს. ხსენებულ პირთა მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და კანონით დადგენილი წესით შედგენილი ე.წ. თანხმობა მითითებული პროექტიდან მათთვის შეთავაზებულ გადასაცემ შესაბამის ფართებზე.

ზემოხსენებული კოოპერატივის წევრების მიერ, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია/განცხადებები, რომლითაც აღნიშნული პირები ადასტურებენ, რომ გაეცნენ სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და კომპანიას შორის 2022 წლის 3 აგვისტოს გაფორმებულ „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებას და ეთანხმებიან მის პირობებს.

ამასთან, ვინაიდან, ხსენებული პირები აცხადებენ თანხმობას, რომ ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ს/კ: N01.14.01.001.423 რეგისტრირებული 17173 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან მათთვის განსაზღვრული ოდენობის ფართობის მიწის ნაკვეთიდან კუთვნილ წილთან დაკავშირებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების მიღების სანაცვლოდ და ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულ მშენებარე ფართებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საკუთრების უფლების გადაცემის, სამშენებლო პროექტის განმახორციელებელი კომპანიის მიერ, ამავე ფართების მშენებლობადასრულებული მდგომარეობით საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით ადასტურებენ, რომ მათ მიერ სრულად იქნება შესრულებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით და შეთანხმებით განსაზღვრული კოოპერატივის წევრების ვალდებულებები.

ასევე, აცხადებენ და ადასტურებენ, რომ გაეცნენ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრებს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტს და თანახმა არიან, გააფორმონ შესაბამისი შეთანხმება ზემოთ მითითებული პირობებით. შესაბამისად, კოოპერატივის წევრების მიმართ არსებული სახელმწიფო საბინაო ვალი ჩაითვლება სრულად დაფარულად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ აქვთ/არც მომავალში წარმოემობათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება.

მომხრე-7 თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე